სასურსათო პროგრამა ყველამ უნდა განვახორციელოთ!

შრომაშიც ოსტატები არიან

[illegible] გამოცდილება

ორჯონიკიძე. ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდს სასწავლო-საცდელ მეურნეობაში საზეიმო ვითარებაში გადაეცა უჩვეულო საპატიო პრიზი. ამ პრიზით აღინიშნა არა ლამაზი ორთაბრძოლები და გამარჯვებები ხალიჩაზე, არამედ სპორტსმენთა დამკვრელური, კეთილსინდისიერი შრომა საკვების დამზადებაში.

...ცენტრალური კავკასიონის ცისფერი მყინვარების ნაპირებზე მდებარე ალპურ და სუბალპურ მდელოებზე ცხარე დღეებია: მიმდინარეობს თივის, ბალახის ფქვილის, საკვები მარცვლეულის, სენაჟის დამზადების რესპუბლიკური ერთთვიური. ხუთი ათასამდე მთიბავი მუშაობს ქედების ციცაბო ფერდობებზე, იქ, სადაც ტექნიკა ვერ მიუდგება. ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში.

ამ მნიშვნელოვან საერთო-სახალხო საქმეში ჩაებნენ აგრეთვე სპორტსაზოგადოებები, ფიზკულტურული კოლექტივები, სპორტული ორგანიზაციები. ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს სპორტკომიტეტმა შექმნა რამდენიმე „სპორტული ბრიგადა“ და ისინი მთიან რაიონებში მიავლინა. ბრიგადების შემადგენლობაში არიან ცნობილი სპორტსმენები, მწვრთნელები, ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანები, მშთ-ს ნიშნოსნები.

როგორც მაღალი რანგის შეჯიბრებებში, ენერგიულად მოქმედებდნენ სპორტსმენები: მათ ძლიერ ხელებში წკრიალი გაჰქონდათ ცელებს. მიუხედავად ხშირი წვიმებისა, ვალდებულება შეასრულეს — „შრომითი მივლინების“ ორი კვირის განმავლობაში 40 ტონა თივა დაამზადეს. ალპიურ მდელოებზე აღიმართნენ სურნელოვანი თივის ზვინები.

სპორტკომიტეტმა დაამტკიცა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე სპორტსმენთა ბრიგადების გასვლის მარშრუტები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის გაწეული მთელი ეს საშეფო დახმარება გაიმართება დევიზით: „სპორტში პირველები — შრომაშიც პირველები“.

სპორტსმენები იშრომებენ სიმინდის პლანტაციებში, საველე ბანაკებში, ბაღებში. მუშაობისგან თავისუფალ დროს გამართავენ საუბრებს სპორტის მასობრიობაზე, სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე, მონაწილეობას მიიღებენ საჩვენებელ გამოსვლებში რაიონულ და სოფლის სტადიონებზე, პრაქტიკულ დახმარებას აღმოუჩენენ ადგილობრივ მწვრთნელებს, ფიზკულტურული მოძრაობის აქტივისტებს, მოაწყობენ ახალგაზრდობის სპორტულ ზეიმებს, მშთ ნორმატივების ჩაბარებას. (საქდესი).

რედაქციისაგან: ფიზკულტურელების, ცნობილი სპორტსმენებისა და სოფლის მშრომელების ურთიერთდახმარება და მეგობრობა არც ჩვენი რესპუბლიკისთვის არის ახალი ამბავი: საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს არაერთხელ სწვევია სპორტსმენებითა და ფიზკულტურელებით დაკომპლექტებული ბრიგადები, რომლებიც აქტიურად ედგნენ მხარში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ უხვი მოსავლისთვის გაჩაღებულ ლაშქრობაში.

ახლა, როცა სასურსათო პროგრამის განხორციელება საერთო-სახალხო საქმედ იქცა, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ამ მიმართებით მუშაობის უფრო გააქტიურება მართებთ. პირველ ყოვლისა, აუცილებელია, ამ საქმიანობამ შეიძინოს მიზანდასახული, სისტემატური ხასიათი, შემუშავდეს და დამტკიცდეს „სპორტული ბრიგადების“ გასვლათა გრაფიკი და მარშრუტები. განსაკუთრებული გულმოდგინება მოეთხოვებათ იმ რაიონების სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელებს, სადაც სეტყვისა და ხანგრძლივი წყალდიდობის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდა სასოფლო-სამეურნეო ნათესები, ბაღ-ვენახები.

კარს მოგვადგა შემოდგომა. პირნახულის დაბინავების მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა მაქსიმალური მობილიზება და ორგანიზებულობა. ამას გვავალებს დღევანდელობა და ამ საერთო შრომის ფერხულში უფრო აქტიურად უნდა ჩადგნენ ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 151
(7212)
7
1982 წ.
აგვისტო,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

კვლავ მეორე ადგილზე

საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმმა, ისევე როგორც გასულ წელს, მეორე ადგილი მოიპოვა სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსში.

ეს წარმატება მით უფრო საამაყოა, რომ კონკურსში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 27 საშუალო სპეციალური სასწავლებელი — ფიზკულტურის ტექნიკუმების 7 ათასი მოსწავლე.

ამ დღეებში ტექნიკუმის კოლექტივს (დირექტორი ვ. კინკაძე) გადაეცა შესაბამისი ჯილდოები — გარდამავალი თასი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის II ხარისხის დიპლომი და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

სურათზე: გარდამავალი თასი, რომელიც ზედიზედ მეორედ მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმის კოლექტივმა.

უკანასკნელ საათს!

გუაიაკილში (ეკვადორი) წარმატებით გამოვიდა საბჭოთა მოცურავე, ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სალნიკოვი. 400 მეტრი თავისუფალი სტილით მან 3.51,30-ში დაფარა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენს ს. სემიონოვს (3.51,43).

სსრ კავშირის ჩემპიონატები

ველოსპორტი

ე. გელაშვილი — „ვერცხლის“ პრიზიორი

მოხდა ისე, რომ III საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით ტრეკზე სპრინტერთა რბოლის ერთ-ერთი ფავორიტი, თბილისელი საერთაშორისო სპორტის ოსტატი ე. გელაშვილი თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა და პრიზიორებს შორის ვერ მოხვდა. მაგრამ ემზარი რომ ჩვენს ქვეყანაში ერთი საუკეთესო ოსტატია, ეს გუშინწინ კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში დაამტკიცა.

ფინალამდე მან და ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონმა, ტულელმა ს. კოპილოვმა ყველა მეტოქე დაჯაბნეს. პირველობა, მართალია, კოპილოვმა მოიგო, მაგრამ, ვფიქრობთ, არც გელაშვილის „ვერცხლია“ ურიგო. მითუმეტეს, რომ წლეულს ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მიღებული ტრავმის გამო, გელაშვილი კარგა ხანს ვერ ვარჯიშობდა.

ჩემპიონატის „ბრინჯაო“ ერგო რ. პრუგლოვს (ტულა).

აქვე დასრულდა ქალების პირადი შეჯიბრება 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში და ვაჟების გუნდური ასპარეზობა 4 კილომეტრზე. ქალთა შორის „ოქრო“ მოიპოვა ნ. კიბარდინამ (ნაბერეჟნიე ჩელნი), ხოლო ვაჟებში უძლიერესი აღმოჩნდა სპორტსაზოგადოებების პირველი ნაკრები (ვ. მოვჩანი, კ. ხრაბცოვი, ს. ნიკიტენკო, ა. ლესნიკოვი), რომელმაც მაღალი შედეგი (4.15,763) აჩვენა.

ქვეყნის ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კ. შენგელია შედეგებით კმაყოფილია:

— სპრინტში და გამოდევნებით რბოლაში საიმედო ძალებია, რომელთაც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე (იგი ამ თვის ბოლოს ინგლისში გაიმართება) უდავოდ აქვთ წარმატების შანსი — თქვა მან. — თუ ადრე გამოდევნებით რბოლაში ერთი ან ორი გუნდი იყო ფავორიტი, ამჯერად, საკავშირო პირველობაში 6 თანაბარი სიძლიერის კოლექტივი ვიხილეთ: ვიმედოვნებთ, საბჭოთა ოსტატები მსოფლიო ჩემპიონატიდან მედლებით დაბრუნდებიან, თუმცა მათ, განსაკუთრებით გდრ-ის სპორტსმენთა სახით, ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ...

სურათზე: 1982 წლის საკავშირო ჩემპიონატის „ვერცხლის“ პრიზიორი ე. გელაშვილი.

• კრივი

ნახევარფინალისტები

დონეცკში დასასრულს უახლოვდება მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატი, რომლის მონაწილეებმა უკვე განვლეს მეოთხედფინალური შეხვედრები და გამარჯვებულებმა, სულ ცოტა, „ბრინჯაო“ გაინაღდეს. მათ შორის, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 21 წლის ციმბირელი კ. ლუზიანინის (71 კგ) დებიუტი დიდ რინგზე. ნოვოსიბირსკელმა სტუდენტმა დიდი ნებისყოფა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა გამოიჩინა და სძლია ხაბაროვსკელ ს. აბრამიანს. საგულისხმოა ისიც, რომ ლუზიანინმა მხოლოდ შარშან მოიპოვა სპორტის ოსტატობა, დონეცკის რინგზე კი უკვე სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. როგორც ჩემპიონატის დღეებში მრავალგზის ავღნიშნეთ, მიმდინარე შეჯიბრება იმით გამოირჩევა, რომ ახალგაზრდები გაბედულად უტევენ ავტორიტეტებს და ლუზიანინი გამონაკლისი არაა. ამ მხრივ აგრეთვე გამოირჩევა 21 წლის ჩებოქსარელი ვ. შელნიკიც (75), რომელმაც ნახევარფინალის გზაზე სძლია სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონსა და მსოფლიო თასის პრიზიორს გროზნოელ ხ. ჯაბრაილოვს.

ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე ნევინომისკელი მსოფლიო ჩემპიონი ი. ალექსანდროვი (51), ევროპის სამგზის ჩემპიონი მოსკოველი ვ. რიბაკოვი (60) და სსრ კავშირის ჩემპიონი ვოლგოგრადელი ა. ბელიაევი (75).

აი, მსოფლიო ჩემპიონი ვ. შიროშნიჩენკო კი უბრძოლველად, რინგზე კი არა... სპორტსმენთა ასაწონ ოთახში გამოეთიშა ასპარეზობას: მას პირადი წონა დადგენილ 54 კგ-ზე მეტი აღმოაჩნდა.

• მშვილდოსნობა

ლიდერთა ცვლა

კლაიპედაში დასრულდა საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის მოხდა ლიდერთა სრული ცვლა.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მოსკოველი ნ. ბუტუზოვა აშკარად შესაძლებლობაზე დაბლა გამოვიდა. 4 ქულით ჩამორჩა დუშანბელ მსოფლიო ექს-ჩემპიონს ზ. რუსტამოვას, რომელმაც „ბრინჯაო“ მოიპოვა. ოქროს მედალს კი ნოვაიაკახოვკელი ლ. არყანიკოვა დაეუფლა — 2525 ქულა. II ადგილზეა ესტონელი კ. ვეერი — 2513.

ვაჟებში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ვ. ტრაპეზნიკოვი (ბირსკი) — 2463 ქულა. ეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტის პირველი ოქროს მედალია. ჩემპიონთან 3 ქულა წააგო III ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში გამარჯვებულმა ს. ზაბროდსკიმ (ხარკოვი).

საკავშირო ჩემპიონატისა და წლევანდელი სხვა ასპარეზობათა შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ქვეყნის ნაკრები, რომელიც 21 აგვისტოდან ჩაებმება ევროპის ჩემპიონატში. ეს შეჯიბრება უნგრეთში მოეწყობა.

ველოსიპედებით ქვეყნის გარშემო

ეს საინტერესო მოგზაურობა 1978 წელს დაიწყო. დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, სკოლის მეგობრებმა ლეონიდ ვლასოვმა და გენადი მოროხოვმა გადაწყვიტეს ველოსიპედებით შემოევლოთ... მთელი ჩვენი ქვეყანა. სტარტი 1978 წლის 20 ივნისს აიღეს საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის საზღვართან, ნავსადგურ ლაინახამარიდან. ამას წინათ, 30 ივლისს მოგზაურები თბილისს ეწვივნენ.

ჯერ ეჭვის თვალით შეჰყურებდნენ „უცნაური მოხუცების“ ახირებას — შეძლებდნენ კი 64 წლის ადამიანები ჩანაფიქრის განხორციელებას? მაგრამ ისინი ჯიუტად მიიწევდნენ წინ. მოგზაურებს გულთბილად ხვდებიან მოკავშირე რესპუბლიკებში. მიმდევრებიც კი გამოუჩნდნენ.

მოგზაურობის დროს მიღებულ მდიდარ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობენ ლეონიდ ვლასოვისა და გენადი მოროხოვის დღიურები, სლაიდები, ფოტოსურათები... სუსხიანი ჩრდილოეთი და რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალები, გმირი ბრესტის ციხე-სიმაგრე და მრავალჭირნახული ხატინი, ბალტიისპირეთი, ბელორუსია, მოლდავეთი, უკრაინა, შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის, ხასიათის, მიდრეკილების ადამიანებთან; რაც მთავარია, საკუთარი ძალის, ნებისყოფის დიდებული გამოცდა.

— პენსიაში გასვლის შემდეგ, სამწუხაროდ, ადამიანები დუნდებიან, ხშირად ავადმყოფობენ და რაც ყველაზე საშიშია, სულიერად ეცემიან. ჩვენ ასეთი რამ არ მოგვსვლია. — ლაპარაკობენ ისინი. — ვცდილობთ, დავეწიოთ... ჩვენსავე სიჭაბუკეს, დავეწიოთ და ჩავუდგეთ კვალში, რათა არასდროს მიგვატოვოს ახალგაზრდულმა შემართებამ, ახალგაზრდულმა სულმა. არ ვეწევით თამბაქოს, არ ვსვამთ, აღარ გვახსოვს უკანასკნელად როდის ვიყავით ავად. მოგზაურობა ფიზიკურ და სულიერ მობილიზაციას მოითხოვს, ეს კი ჯანმრთელობის, ძლიერი ნებისყოფის საწინდარია.

ლეონიდ ვლასოვსა და გენადი მოროხოვს გადაწყვეტილი აქვთ 30000 კილომეტრი განვლონ. ამჟამად თითქმის მესამედი აქვთ დაძლეული. წინ კიდევ დიდი და საინტერესო გზაა.

მ. ფაჩუაშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

სურათზე: ლ. ვლასოვი და გ. მოროხოვი.

ნ. მარკოვის ფოტო.

სსრკ 60

1788 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის წარმომადგენელმა პეტრე პოტიომკინმა და საქართველოს წარგზავნილებმა ივანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ მეგობრულად გაუწოდეს ერთმანეთს ხელი. ამ საშვილიშვილო აქტის მიღების შემდეგ ერთმანეთს მხარში ამოუდგა ამ ორი ქვეყნის მდიდარი სპორტული ტრადიციებიც.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღის 200 წლისთავთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაცნობა, თუ XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში, გეორგიევსკის ტრაქტატის ძალაში შესვლის ჟამს, რა დონეზე იდგა ფიზიკური წრთობა და სპორტი რუსეთსა და საქართველოში.

რუსეთი—საქართველო: სპორტული ტრადიციების პარალელები

ახალკვირას შუა რუსეთის ერთ-ერთი სოფლის განაპირას დიდძალ ხალხს მოეყარა თავი.

— გაგახსენებთ, — მიმართა მათ თეთრწვერა მოხუცმა, — ჩვენი კრივი „კედელი კედელზე" ყოველთვის გამოირჩეოდა რაინდულობით. სირცხვილად ითვლებოდა სარმის დადება, მიპარვით დარტყმა და გინება. ნურც ახლა დავკარგავთ ამ წესებს. აბა, ბავშვებო, დაიკავეთ თქვენი ადგილი!

სოფლის საპატიო მსაჯის ამ მიმართვის შემდეგ ორმოცდაათი ბავშვი გამწკრივდა მინდორზე, მათგან ათიოდე ნაბიჯზე ასეთივე მწკრივი განლაგდა. მოხუცის ნიშანზე ბავშვები ერთმანეთისკენ მუშტების ქნევით დაიძრნენ. მალე მათი ადგილი უცოლო ახალგაზრდებმა დაიკავეს, ისინი ცოლიანებმა შეცვალეს, ცოლიანებს, ხანშიშესულნი შეენაცვლნენ, ბოლოს კი სოფლის მუშტი-კრივი, რომელშიც სამასზე მეტი კაცი გამოვიდა, მოხუცებმა დააგვირგვინეს. ბრძოლის შემდეგ მეტოქეებმა მეგობრული ბაასით მიაშურეს ოჯახებს, საღამოს კი სუფრას შემოუსხდნენ და ღიმილით იხსენებდნენ დილით გადახდილი ბრძოლის პერიპეტიებს.

კრივის გარდა რუსი ხალხის საყვარელი ვარჯიში იყო ცხენოსნობა და მშვილდოსნობა. აი, რას ამბობს ერთი უცხოელი მოგზაური: „რუსების ყველაზე საუკეთესო განცხრომა — ცხენოსნობა და მშვილდოსნობაა. მათს შორის საუკეთესო და საპატიო კაცად ითვლება ის, ვინც სხვებზე უკეთ მოზიდავს მშვილდს და ტყორცნის შორსა და მიზანში".

რუსი ხალხის ფიზიკური აღზრდის საშუალებათა არსენალს ავსებდა მრავალი მოძრავი თამაშობა, რომელთა შორის განსაკუთრებით იყო გავრცელებული „ქალაქობია", „ლაპტა", „ბაბკი" და სხვანი.

რუსი გლეხობა ცურვის დიდი მოტრფიალე იყო. რუსი მოგზაური გლაგოლევი (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) ტულელთა შესახებ წერდა: „არ შეიძლება მათმა ვაჟკაცობამ არ გაგაკვიროთ. ისინი ხტებიან წყალში ოთხი ან ხუთი საჟენის სიმაღლის ბოგებიდან. ძალზე მოქნილნი არიან და ცურვის დღემდე უცნობ მრავალ ყაიდას იყენებენ, თუმცა მათთვის არავის უსწავლებია ეს ილეთები და წარმოდგენაც არა აქვთ, რომ არსებობს ცურვის შემსწავლელი სკოლები". წყლის სიყვარულმა მე-18 საუკუნის რუსეთში ააღორძინა საიალქნო და სანიჩბოსნო სპორტი, რომელიც თავიდანვე მდიდართა მონოპოლიად იქცა. ამ საქმის წამომწყებად ითვლება პეტრე პირველი. მან 1717 წლის აპრილში გამოსცა სპეციალური ბრძანება პეტერბურგში სამოქალაქო ფლოტისა და საიალქნო საქმის განვითარების შესახებ. მდიდართა წრეში ფართოდ გავრცელდა აგრეთვე ფარიკაობა. სახელმძღვანელო „ფარიკაობის ხელოვნება" 1796 წელს გამოსცა მოწვეულმა მასწავლებელმა ფიშერმა.

საუკუნის ბოლოს ურალელმა ოსტატმა არტამონოვმა შექმნა თვითგორია ველოსიპედი და განახორციელა 5000-კილომეტრიანი გადარბენა მარშრუტით ვერხოტურიე-მოსკოვი-ვერხოტურიე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პროგრესულად მოაზროვნე რუსმა მოღვაწეებმა შექმნეს შრომები, რომლებშიც განხილული იყო ფიზიკური აღზრდის მთელი რიგი პრობლემები. ამ მოღვაწეთა შორის უნდა დავასახელოთ ი. ბეცკოი. იგი ბევრს წერდა მოზარდი თაობის წრთობისა და ფიზიკურ აღზრდაზე, ნ. ნოვიკოვი, რომელმაც წიგნში „მოძრავი თამაშები, ბავშვთა აღზრდისა და განწყობილების შესახებ" გაგვახსენა, რომ „მოძრავი თამაშები ბავშვთა ასაკში — ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა", ა. პროტასოვი, რომელმაც რუსეთის აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე 1775 წელს წაიკითხა ორი მოხსენება „ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შესახებ" და „ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ", პროფ. ზაგორსკი, რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი „სახელმძღვანელო ადამიანის ორგანიზმის შეცნობისათვის", მ. მუდროვი, რომელმაც დატოვა ფუნდამენტური გამოკვლევა „სიტყვა სამხედრო ჰიგიენის სარგებლიანობისა და მისი საგნის შესახებ, ანუ მეცნიერება სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", ექიმი ე. გრუმი, ავტორი შესანიშნავი წიგნისა „ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი. განათლება", ა. რადიშჩევი, რომელმაც თავის წიგნში „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს" ჩამოაყალიბა მთელი მოძღვრება ახალგაზრდობის გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთკავშირის შესახებ. ამავე პერიოდში სამხედრო-ფიზიკური მომზადების თეორიის დარგში საინტერესო შრომები შექმნეს დიდმა რუსმა მთავარსარდლებმა ა. სუვოროვმა და მ. კუტუზოვმა, ადმირალმა ფ. უშაკოვმა.







საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ ქ. გეორგიევსკსა და სხვა კაზაკთა სიმაგრეებსა და სტანიცებში, რომლებითაც მოფენილი იყო რუსეთის მთელი სამხრეთი საზღვრები, შემუშავდა ფიზიკური აღზრდის ორიგინალური სისტემა. კაზაკი ბავშვი, ჯერ კიდევ ორი წლისა, ცხენზე ჯდებოდა, ხოლო ხუთი წლისა უკვე შეჯიბრებაში მონაწილეობდა. კაზაკთა შორის სპორტის ყველაზე პოპულარულ ცხენოსნობასთან ერთად, ისინი მისდევდნენ ჭიდაობას გაქონილი ზედატანით, სროლას ღამით, მდინარის გადალახვას სამხედრო ტანსაცმლით და სხვა.

განსაკუთრებით მასობრივი იყო სროლა მდინარეზე დაცურებულ ტივებზე. მდინარე დონზე და სხვა მდორე მდინარეებზე დააცურებდნენ ტივს, მასზე შემოდებდნენ ჯირკს, ჯირკზე მოათავსებდნენ მცირე ზომის სამიზნე საგანს. მალემსრბოლები ატყობინებდნენ მდინარისპირა სოფლებს, რომ ტივი უკვე დაცურებულია. წყლის პირზე მოწყობილი სასროლეთებიდან კაზაკები ცდიდნენ თვალის სიმახვილეს. საუკეთესო მსროლელის ჯილდოდ ითვლებოდა თაფლზე დაპატიჟება.

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, იმ პერიოდში, მეფის მთავრობის სრული უყურადღებობის პირობებში, შეუძლებელი იყო ხალხთა ფიზიკური ვარჯიშობების მასობრიობაზე ფიქრი და, რაც მთავარია, მოსახლეობის მასობრივი გაჯანმრთელების დარგში სასურველი შედეგების მიღება. ამას ისიც ემატებოდა, რომ იმ დროს განსაკუთრებით აბობოქრდა რუსეთის ეკლესია. იგი რუსი ხალხის ვარჯიშებს „ცოდვიანთა თამაშებსა" და „ელინურ სიგიჟეს" უწოდებდა. დაწყებული XVI საუკუნიდან, მან მრავალჯერ გამოსცა კანონი ხალხური ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშების აკრძალვის შესახებ.

მაგრამ რუსი ხალხი ანგარიშს არ უწევდა ამ უსაფუძვლო კანონებს და შეძლებისდაგვარად განაგრძობდა ვარჯიშობას, რომელიც აწრთობდა მას და საშუალებას აძლევდა ყოველთვის ღირსეულად დახვედროდა მტერს.

* * *

იმავე პერიოდში ივანე მუხრანბატონისა და გარსევან ჭავჭავაძის სამშობლოში, 550-წლიანი საშინელი ძნელბედობის მიუხედავად, მაინც შენარჩუნებული იყო ძველი ეპოქისა და შუა საუკუნეების, განსაკუთრებით კი, რუსთაველის დროის სპორტული ტრადიციები.

გვიანი ფეოდალიზმის ხანაშიც საქართველოში გამოკვეთილად ჩანს ორი ფიზიკური კულტურა — მდიდრებისა და ღარიბებისა, თავიანთი დამახასიათებელი ვარჯიშებით; თუმცა ხშირად, გარკვეული პოლიტიკური სიტუაციების გამო, მათს შორის ზღვარი იმდენად იშლებოდა, რომ გასული საუკუნის ბევრი მკვლევარი თამამად აცხადებდა: „ყველა ამ თამაშში ერთად იღებდნენ მონაწილეობას თავად-აზნაურობა, გლეხობა და სამღვდელოება" („დროება", 1882, № 72).

მდიდრებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო ნადირობა, ყაბახი, ჩოგანბურთი, ცხენოსნობა და სხვა სახეობანი. „იყო ყოველ დილაობით სროლა ყაბახზე, საღამოს — ჯირითი. პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე; აგზავნიდა ბრტყლად გაჭედილ ვერცხლს. ამის ჩამოგდების შემდეგ დასვამდნენ ყაბახად ქაშანურს; ყოველი ოჯახიდან იყო მოტანილი ვერცხლის ჭურჭელი, ე. ი. აზარფეშა, თასი და ვერცხლის ჭიქები; ვის სახელზეც ყაბახი დაიდგმებოდა, მისი მოტანილი ვერცხლეულიც იქვე ხის ძირში იდვა, ვინც ყაბახის ქაშანურს გასტეხდა, ვერცხლიც იმისა იყო", — ასე ახასიათებს ისტორიული წყარო მეფე სოლომონ მეორის „ოქროს ჩარდახთან" გამართულ ასპარეზობას.

რაც შეეხება ჩოგანბურთს, ჟამბაკურ ორბელიანის ცნობით, ერეკლე მეორის მიერ ორგანიზებულ ერთ თამაშში 2000-მდე მხედარი მონაწილეობდა. ქართველ ჩოგანბურთელთა ოსტატობაზე კი აღტაცებით ლაპარაკობენ უცხოელი მოგზაურები. მაგალითად, დიონიჯო კარლი (XVII საუკუნის იტალიელი მოგზაური) წერს: „თამაშის დროს ისინი ისე დაბლა იხრებიან, რომ ბევრჯერ მეფიქრია ესაა გადმოვარდებიან და მიწაზე ზღართანს მოადენენ მეთქი. ამ ხალხის ამგვარი ვარჯიშობის ნახვას არაფერი სჯობს. პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე შეუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება... სპარსელები, რომელნიც ყოველთვის ესწრებიან ქართველთა მსგავსსა და სხვა ვაჟკაცურ გართობა-თამაშობებს, ისეთნაირად აღწერენ მათ, რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის. ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებას".

XVII — XVIII საუკუნეების წყაროები გვიდასტურებს, რომ ამ პერიოდშიც არ დარღვეულა წარსული ტრადიცია ქართველთა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაში ნადირობისა (ზოგჯერ ყაბახის) და ჩოგანბურთისაგან შემდგარი ორჭიდის გამოყენების შესახებ. „დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისცენ თასი იგი, შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა" (ვახუშტი), „დილით შევსხით, ვინადირით, შუადღისას შემოვიქცით, აწ ბურთობას ხელი მივყვეთ, მუნ საძილედ არ გავიქცით" (არჩილი), „ესე იყო სწავლა მისი, ბურთობა ნადირობა" („შაჰნავაზიანი"), „როდის იყო, თუ არ დღისით, ვაჟკაცთ ცხენზე ზნეობანი? გითხრა სროლა ყაბახისა, მოჭირვებით ბურთობანი" (თეიმურაზ მეორე), — ასე აღწერენ ქართულ ორჭიდს მაშინდელი სხვა მოღვაწენიც.

ამ ეპოქაში არც მუშაითობა (ჯამბაზობა) იყო მივიწყებული, წვრთნის ეს საშუალება დიდ ჯაფასა და ენერგიას მოითხოვდა. შემთხვევით არ უკიჟინებდა აღსაზრდელებს დიდი დავით გურამიშვილი: „განისწავლენით ჯამბაზებრ წარეთ, რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვათ მწარედ".

მოსახლეობის ფართო ფენები მათთვის ხელმისაწვდომ სახეობებს — ჭიდაობას, ლელობურთს, დოლის ზოგიერთ სახეობას, მრავალგვარ მოძრავ თამაშობას და სხვა საშუალებებს ეტანებოდა. ქართულ ჭიდაობაზე, მის პოპულარობაზე ახლა ზედმეტია ლაპარაკი, ოღონდ მკითხველს უნდა შევახსენო, რომ ეს რაინდული სახეობა იმდენად მასობრივი იყო და მოჭიდავენი იმდენად მაღალ ოსტატობას ავლენდნენ, რომ გასული საუკუნის მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ თქვა: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევიო".

ლელობურთი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, იმდენად პოპულარულ სახეობად იქცა, რომ მაშინდელი ცნობების მიხედვით, ერთ შეჯიბრებაში ხშირად ათასამდე ქვეითი და ამდენივე ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას. მხილველთა განცვიფრებას იწვევდა საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთში შემორჩენილი დოლი, რომელიც „ცხენნის" სახელწოდებით მონათლა ხალხმა. ხევსურული ფარიკაობით კი ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დაინტერესებულა რომის სარდალი პომპეუსი, ცხადია, საკუთარ არმიაში მისი შემოღების მიზნით. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მას აინტერესებდა, „თუ ვითარ ხმარობდნენ იგინი საჭურველთა საომართა და ჰყვეს მათ ვარჯიში და ფარისა... დამოსნა ისინი პომპეიმ რომაელთა შესამოსელითა და ფრიად სცნო სიმხნე და მამაცობანი მათნი".

ამ პერიოდში გავრცელებული მოძრავი თამაშების უმრავლესობა ჯერ კიდევ მატრიარქატის ეპოქიდან იღებდა სათავეს. ბევრი მათგანი თავისი შინაარსით ჩვენი დუხჭირი ისტორიის ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს ასახავდა. ამის მაგალითად გამოდგება ფართოდ გავრცელებული ლახტი, რომელიც ციხე-სიმაგრის დაცვის ინსცენირებას წარმოადგენდა. დიდი ვაჟა-ფშაველა წერდა: „მთელი სათამაშოები, რომლითაც დღეს ბალღები ერთობიან, წარსულ კაცობრიობის სურათებია. მომეტებული ნაწილი მოგვითხრობს ომიანობას, [illegible], ტყვედ შეპყრობას, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ქართული მოძრავი თამაშებით ბავშვი ცხოვრებას სწავლობდა.

ძალზე შეზღუდული იყო ქართველი ბავშვის აღზრდისა და, მასთან, ფიზიკური აღზრდის ასაკი. 5 წლიდან იწყებოდა იგი და 15 წელზე მთავრდებოდა. ეს მკაცრმა პოლიტიკურმა სიტუაციებმა განაპირობა. ისტორიული წყაროები ვრცლად მოგვითხრობენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებზე: ბრძენი სულხან-საბა იგონებდა: „მწვრთიდა მცხეთელი ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწვრთიდა იაშვილი გიორგი". „სიმღერა". იმ პერიოდში ვარჯიშობას ნიშნავდა, „სიმღერის სრულობა" კი უეჭველად ფიზიკური აღზრდის ერთიანი კურსია.

არჩილის დამრიგებლობითი პოემის „საქართველოს ზნეობანი", თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასებისა" და სხვათა მიხედვით ქართველ ჭაბუკს უნდა შეესწავლა: ნადირობა, ჩოგანბურთი, ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, სროლა, შუბის ტყორცნა, ფარიკაობა, რბენა, ცურვა, ნავის მართვა, მუშაითობა, ჭადრაკის, ნარდის, ყუმარის, განჯაფის, ჩალიჩის, ხარდიორდას თამაში, ხტომა, ქვის გდება, თევზაობა, ლახტის თამაში, მათრახის ხმარება, ისრისა და მშვილდის, ჩოგნისა და ბურთის დამზადება და სხვანი.

ქართველთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა სამაგიდო თამაშობანი, რომელთათვისაც სპეციალური სამორინეები იყო აშენებული. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჭადრაკი. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „სამეგრელოში დროს გასატარებლად ბევრი სხვადასხვა თამაშობაა. მათ შორის ზოგი გავრცელებულია მთელს ქვეყნიერებაზე და ზოგი საკუთრივ სამეგრელოში და საქართველოში და სხვაგან არსად. პირველთაგანია: ჭადრაკი, ნარდი და ბანქო. ჭადრაკსა და ნარდს უფრო ქალები ეტანებიან, ვიდრე კაცები და ისე მარდად თამაშობენ, რომ საუცხოო სანახავია".

ისე როგორც რუსთაველის ეპოქაში, XVII — XVIII საუკუნეებშიც ქართველი მოღვაწეები ქმნიან ახალგაზრდობის აღზრდა-მომზადებისათვის საჭირო პედაგოგიურ მოძღვრებას, რომელშიც ფართო ადგილს უთმობენ ფიზიკურ აღზრდას. ეს ნაწარმოებები, განსაკუთრებით კი არჩილის, თეიმურაზ მეორის, სულხან-საბას, დავით გურამიშვილისა და სხვათა შემოქმედების ნიმუშები იმდენად სრულყოფილი და მრავლისმომცველი იყო, რომ არჩილ მეფეს სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა:

„ბევრი კაცი იმიზეზებს: არა
მყავდა მსწავლელიო,
ზნეობა რომ შემესწავლა
ხარისხ-ხარისხ ამელელიო,
ახლა რაღა პასუხი გაქვს,
აი თქვენი მსწავლელიო,
ვინც არ იწვრთნა, მალმც
მოჰკვდების, ნუ ხარ ხანის
წამვლელიო".

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრე ქართული ეკლესია მკაცრად უტევდა მოსახლეობის ფიზიკურ ვარჯიშებს, ახლა, დარწმუნდა რა თავისი რეპრესიების უსაფუძვლობაში და გაითვალისწინა რა ეპოქის მოთხოვნილება, დაუმეგობრდა სპორტს და მრავალი ადგილი სპორტულ ცენტრად აქცია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ ქართველმა ხალხმა ვაჟკაცურად გაუძლო ისტორიის უმძაფრეს ქარტეხილებს, თუ საქართველო, [illegible] ეს პატარა ქრისტიანული [illegible], გადარჩა [illegible], ამაში ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა მისი ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადების იმ სისტემამ, რომელიც მრავალი საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა საქართველოში.

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.

• • •

სურათებზე: რუსული [illegible] — ყაბახი; [illegible]; ქართველი ჩოგანბურთელი.

82

გუშინ ლენინგრადში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის II წრის კალენდარული მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ზენიტსა" და თბილისის „დინამოს" შორის.

შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 3:1.

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

3 და 4 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის 45-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები. მოგვყავს მათი ტექნიკური მონაცემები:

ცსკა — „დინამო" მ. 1:2 (0:1). ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა დინამოელმა მოლოდცოვმა. გოლი მე-60 წუთზე 11-მეტრიანით გაქვითა ჩესნოკოვმა, მაგრამ დინამოელები კვლავ დაწინაურდნენ შევცოვის ზუსტი დარტყმის შემდეგ.

გააფრთხილეს დინამოელი ფეხბურთელები ტოლსტიხი და გოლოვნია.

დუბლიორები — 1:3.

„შახტიორი" — „ფახთაქორი" 3:1 (2:0). მასპინძლებმა (კუცევი, იურჩენკო) პირველ ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში. შემდეგ იაკუბიკმა 11-მეტრიანით გაქვითა ერთი გოლი, მაგრამ მატჩის დასასრულს პიანიხმა გაზარდა ანგარიში 3:1-მდე.

გააფრთხილეს დონეცკელი პიანიხი.

დუბლიორები — 1:3.

„ზენიტი" — „არარატი" 5:0 (4:0). ერევნელთა კარში ბურთები გაიტანეს ლარიონოვმა, მელნიკოვმა, ჩუხლოვმა და ძელუდკომ (2).

გააფრთხილეს ერევნელი რაფ. გალუსტიანი და ლენინგრადელი სტეპანოვი.

დუბლიორები — 2:0.

„ყუბანი" — „ქაირატი" 1:1 (0:0). დაწინაურდნენ ალმაათელები (ბერდიევი), საპასუხო გოლი გაიტანა ჩებოტარიოვმა.

დუბლიორები — 3:0.

„დნეპრი" — „ნეფთჩი" 2:0 (0:0). ბურთები გაიტანეს პოგორელოვმა და უსტიმჩიკმა.

დუბლიორები — 4:2.

„ტორპედო" მ. — „სპარტაკი" 1:2 (0:0). გამარჯვებულთა მხრივ ბურთები გაიტანეს ჩერენკოვმა და გავრილოვმა, ხოლო ტორპედოელთაგან — რედკოუსმა.

დუბლიორები — 0:2.

* * *

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის გუშინდელი მატჩის წინ საუკეთესო სნაიპერთა სიას სათავეში ედგა ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელი მ. მეგრელაძე, რომელმაც 9 ბურთი გაიტანა. 8-8 ბურთი გაიტანეს დ. დარჯანიამ („ტორპედო", ქუთაისი), ა. პროკოპენკომ („დინამო", მინსკი,) ა. იაკუბიკმა („ფახთაქორი") და კ. ბერდიევმა („ქაირათი"). თბილისის „დინამოს" ფორვარდის რ. შენგელიას ანგარიშზე იყო 7 ბურთი.

* * *

გაფრთხილებათა შესახებ. ვ. პიანიხს წლეულს უკვე მეოთხე გაფრთხილება აქვს, ა. გოლოვნიასა და ა. სტეპანოვს — 3, ს. ვედენევმა („ზენიტი"), ნ. ტოლსტიხმა, მ. მეგრელაძემ და ლ. მელიქიამ მეორე გაფრთხილება მიიღეს, ამიტომ ისინი გამოტოვებენ მორიგ კალენდარულ შეხვედრას.

I ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი სმოლენსკის „ისკრასა" და კოსტრომის „სპარტაკს" შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

მატჩები იყო, ა ი, თამაში კი...

„ლელოს" ინტერვიუ

გასულ ნომერში „ლელოს" მკითხველებს შევთავაზეთ ჩვენი კორესპონდენტის რეპორტაჟი რუბრიკით „ისინი სპორტმა დაამეგობრა", რომელიც სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის ჩვენს სპორტსმენებთან მეგობრობას ეხებოდა.

დღეს, დაპირების თანახმად, ვბეჭდავთ ინტერვიუს, რომელშიც მ. იაკუშინი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ფეხბურთში მსოფლიოს XII ჩემპიონატის შესახებ.

● სპეციალისტები კმაყოფილი არ არიან ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის სტარტით. როგორია თქვენი აზრი გათამაშების ამ მონაკვეთზე?

— თავდაპირველად მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ჩემპიონატი შედარებით უფერულად ჩაივლიდა. ნაკლები იყო საინტერესო, შინაარსიანი თამაშები. გუნდები ფრთხილობდნენ, ეშინოდათ „ფეხი არ დასცდენოდათ". მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა აღიარებულმა საფეხბურთო „გრანდმა" — გფრ-ის ნაკრებმა ყველასთვის მოულოდნელად წააგო ალჟირის გუნდთან, მწვრთნელები შეცბნენ, თითქოს დაშინდნენ კიდეც — უარი თქვეს ყოველგვარ რისკზე და საჩქარო მითითებანი მისცეს მოთამაშეებს — უფრო მეტი ეფიქრათ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე. აბლა გუნდების მთავარი საზრუნავი იყო 12 საუკეთესოს შორის მოხვედრა. ვინც ეს, ასე ვთქვათ, პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, დაიწყო ფიქრი შემდეგ ნაბიჯზე. უკვე საჭირო გახდა მთელი ძალით თამაში, ასე ვთქვათ, „ვაბანკზე" წასვლა — მხოლოდ თავდაცვა ვერაფერ სამსახურს გაგიწევდა. დიახ, მეოთხედფინალებიდან ესპანეთის საფეხბურთო მინდვრებზე მეტწილად ნამდვილი უშელავათო ბრძოლები გაიმართა და არა ისე, როგორც ეს გფრ-ავსტრიის მატჩში ვნახეთ. ასეთი „ფეხბურთი" მუდამ მძულდა, მაგრამ სადღაც (ხაზს ვუსვამ „სადღაც") მაინც მესმის ორივე გუნდისა, რომლებიც ასეთი დევიზით მოქმედებდნენ: „რაზე დავხარჯო ენერგია ტყუილად, როდესაც გადამწყვეტი შეხვედრები წინ არის".

● ვინ მიგაჩნდათ ჩემპიონატის ფავორიტად?

— ბრაზილია, გფრ, იტალია, არგენტინა, საფრანგეთი, პოლონეთი. ეს ექვსეული მართლაც მაღალი კლასისაა, განსაკუთრებით ბრაზილიელები. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს თითქოს ყველაფერი გააჩნდა, მაგრამ, ეტყობა, ზედმეტმა თვითდაჯერებამ იმსხვერპლა ისინი. მოთამაშენი ბოლომდე როდი იყვნენ სერიოზულნი, კერძოდ, იტალიელებთან შეხვედრაში და დაისაჯნენ კიდეც — ვერ გავიდნენ ნახევარფინალში. ეს მით უფრო საწყენია, რომ გუნდი ამჯერად მთლიანობაში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე წინა ჩემპიონატებში. ასეთი შეწყობილი თამაში თავდასხმასა და დაცვაში ბრაზილიელ ფეხბურთელებს ადრე არ ჰქონიათ. ძალიან მომეწონა იტალიის ნაკრები. კარგად ვიცოდი (კლუბებში და ნაკრებში მუშაობით), რომ იტალიელები მუდამ მიილტვოდნენ დაცვითი თამაშისაკენ, შეტევისას მათ მეტწილად ცოტა ფეხბურთელი ჰყავდათ. ამ ჩემპიონატზე კი ბეარზოტის გუნდში მშვენივრად იყო გაწონასწორებული დაცვისა და თავდასხმის თამაში, შემადგენლობაც საუკეთესო გახლდათ. აქ იყვნენ უნივერსალური მოთამაშეები, რომლებიც ერთნაირად წარმატებით მოქმედებდნენ უკანა და წინა ხაზებში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ჩვენს ნაკრებზე. თერთმეტივე მოთამაშე მშვენივრად იყო მომზადებული ფიზიკურად. ეს კი მაღალ ტექნიკურ „შეიარაღებასთან" ერთად საშუალებას იძლეოდა ეფექტური მწვავე იერიშები განეხორციელებინათ. ცხადია, რომ ამ ორი კომპონენტის შერწყმას მოჰყვება მესამეც — მრავალფეროვანი და აგრესიული ტაქტიკა. აი, ესაა სწორედ ის სამი ვეშაპი, რომელზეც, როგორც ხშირად ამბობენ, დაფუძნებულია ფეხბურთი, მაგრამ იტალიელებს მეოთხე „ვეშაპიც" აღმოაჩნდათ — სათანადო ნებისყოფა. ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი პროფესიონალებისაგან შემდგარი კოლექტივი. რაც შეეხება ახალი ჩემპიონის ლიდერს როსის, იგი ძალზე შრომისმოყვარე ფეხბურთელია, მინდორზე მრავალფეროვნად მოქმედებს და დიდი სარგებლობა მოაქვს გუნდისათვის. როსი არა მარტო წინ იყო წაწეული, არამედ უკანაც დროულად იხევდა და ძალიან გონივრულად და ზუსტად იყენებდა ხელსაყრელ სიტუაციას მეტოქეთა კარის ასაღებად.

რამდენადმე წარუმატებლად გამოვიდა უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი არგენტინის ნაკრები, რომელსაც შემადგენლობაში ისეთი ოსტატები ჰყავს, როგორიც არიან მარადონა, პასარელა, კემპესი. არგენტინელები ძლიერ მეოთხედფინალურ ჯგუფში მოხვდნენ (ბრაზილია, იტალია) და, პირდაპირ უნდა ითქვას, ამჯერად არ იყვნენ მზად გამარჯვებულის „როლისათვის". გუნდმა საპრიზო ადგილიც კი ვერ მოიპოვა და საერთოდ ნახევარფინალისაკენ მიმავალი გზაც კი ვერ დაძლია. ერთი სიტყვით, სუფთად წააგო ჩემპიონატი.

ფრანგებისაგან ასეთ წარმატებას, გამოგიტყდებით, არ ველოდი. მართალია, ისინი მუდამ თამაშობდნენ ლამაზ, მსუბუქ, ელეგანტურ ფეხბურთს, მაგრამ, როგორც წესი, არ ჰყოფნიდათ აგრესიულობა, საბრძოლო თვისებები. ამ ჩემპიონატზე გუნდი ბევრად უკეთ თამაშობდა, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა.

გფრ-ის ნაკრებმა, როგორც ადრე, ამჯერადაც მკაცრი ფეხბურთი წარმოგვიდგინა — ფეხბურთი, რომელიც დამყარებულია მაღალ დისციპლინაზე, ანგარიშიანობაზე, კარგ ფიზიკურ კონდიციებზე, დიდ ნებელობით თვისებებზე. გავიხსენოთ თუნდაც მატჩი ფრანგებთან, როდესაც გუნდი აგებდა 1:3, მაგრამ 3:3 „გააკეთა", ბოლოს კი პენალტების სერიით მოიგო მწვავე ბრძოლა.

მშვენივრად მოემზადნენ ჩემპიონატისთვის პოლონელი ფეხბურთელები. ესპანეთის მოედნებზე მათ ნამდვილად თანამედროვე ფეხბურთი აჩვენეს თამაშის ყველა კომპონენტში. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ბონეკმა და ლატომ, რომლებიც ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ.

● ალბათ დროა, საბჭოთა ნაკრებზეც ვთქვათ სათქმელი...

— ჩვენი გუნდის გამოსვლას მსოფლიოს ჩემპიონატზე ხანგრძლივი, 12-წლიანი შესვენების შემდეგ, ცხადია, მოუთმენლად და იმედით ველოდით. იმედით იმიტომ, რომ გასული წლის შესარჩევ მატჩებში ჩვენმა მთავარმა გუნდმა დაამტკიცა, რომ ძალუძს ითამაშოს კარგი ფეხბურთი და შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე. მაგრამ, როგორც ხედავთ, იმედი არ გაგვიმართლდა, გარდა ბრაზილიელებთან მატჩის პირველი ტაიმისა. რაც შეეხება შეხვედრებს ახალ ზელანდიასთან, შოტლანდიასთან, ბელგიასთან, ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი, ვთქვათ პირდაპირ, არ იყო სათანადო დონეზე, თუმცა ორჯერ გავიმარჯვეთ, ერთხელ კი ფრედ ვითამაშეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მატჩების შედეგებმა ჩვენს გუნდს საშუალება მისცა პოლონელებთან მოგების შემთხვევაში გასულიყო ნახევარფინალში. როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელებს ხელს აძლევდა გამარჯვება მინიმალური ანგარიშითაც კი, მაშინ, როდესაც მეტოქეს ფრეც აკმაყოფილებდა. აქედან ცხადი იყო, რომ პოლონელები ითამაშებდნენ უმთავრესად საკუთარი კარის უვნებელყოფისათვის და ხელსაყრელ შემთხვევაში კონტრიერიშზე გადავიდოდნენ, რათა შედეგისათვის მიეღწიათ. ეს ნათელზე ნათელია. გასაგებია ისიც, რომ ტაკიდა ჩვენ მხოლოდ გამარჯვება გვჭირდებოდა, იგი, როგორც ჟურნალისტებს გიყვართ თქმა, მეტოქის კარის მისადგომებთან უნდა ეძიო. ყოველივე ეს კი ნიშნავს, რომ უნდა ითამაშო შემტევი ფეხბურთი, იმოქმედო მწვავედ, აგრესიულად, მაგრამ არ უნდა მოადუნო სიფხიზლე შენს კართანაც. ცხადია ისიც: თუ იცი წინასწარ, რომ მეტოქე შეეცდება მასირებული დაცვითი ხაზი დაგიხვედროს, საჭიროა რაც შეიძლება მეტი ბურთი გადააწოდო მისი მცველების ზურგს უკან სწრაფად გაჭრილი პარტნიორის მისამართით. მართალია, ეს მანევრი მუდამ არ მოიტანს წარმატებას, მაგრამ აღელვებას და არეულობას შეიტანს მცველებში, გამოიწვევს შეცდომას, რაც ასე ხელსაყრელი შეიძლება გამოდგეს თავდამსხმელისათვის. რაც შეეხება მეტოქის სამმაგი ბასტიონის წინ ბურთის გაუთავებელ გაგორება-გამოგორებას, დამერწმუნებით ეს არაფერ სარგებლობას მოიტანს. პოლონელებთან მატჩში ჩვენ ვერაფერი ვნახეთ ისეთი, რაც გამარჯვებას მოგვიტანდა. შეიძლება ამისათვის საბჭოთა ფეხბურთელებს ფიზიკური შესაძლებლობანი არ ეყოთ, მაგრამ სამწუხარო ფაქტი ფაქტად რჩება. თითქოს ჩვენი გუნდი უფრო მეტს ფლობდა ბურთს, ტერიტორიული უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ რეალური საფრთხე მეტოქის კართან ფაქტიურად არ შეუქმნია. ასე მიმდინარეობდა თამაში პირველ ნახევარში. საფიქრებელი იყო, რომ (თუ ეს თვითონ ფეხბურთელებმა არ გააკეთეს) გუნდის ხელმძღვანელები შესვენებაზე შეიტანდნენ საჭირო კორექტივებს თამაშში, შეცვლიდნენ მის მსვლელობას, მოთამაშეებს მოუწოდებდნენ იერიშების ეფექტური სიმწვავისაკენ, შეტევის მიმართულებისა და ხასიათის გააქტიურებისაკენ. სამწუხაროდ, მატჩის მეორე 45 წუთიც ასეთივე უნაყოფო იყო. არავითარი, ასე ვთქვათ, მინიშნება გამარჯვებაზე! შედეგი ცნობილია: დამარცხების ტოლფასი ფრე. სატურნირო სიტუაცია კი ნახევარფინალში გასვლისათვის, როგორც არასოდეს, საკმაოდ ნათელი იყო. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ მეოთხე საპრიზო ადგილი განაღდებული გვქონდა....

● იქნებ გამოვყოთ ცალ-ცალკე ჩვენი გუნდის საუკეთესო „ესპანელები" და ისინი, ვინც წარუმატებლად ჩაატარა მსოფლიოს ჩემპიონატი?

— თავს ვიკავებ, მითუმეტეს რომ, პრესაში ამაზე ისედაც ბევრი ეწერა. ერთს კი [illegible] თუ საბჭოთა ნაკ[illegible] დაცვაში შედარებით კარგად იყო საქმე, გამარჯვების მისაღწევად შემოქმედებითი მოქმედებისას ყველაფერი დაბალ დონეზე გახლდათ. როგორც ცნობილია, თანამედროვე ფეხბურთში წარმატება შეიძლება მოიპოვო მხოლოდ მთელი გუნდის შემოქმედებით, ცხადია, აქ რამდენიმე გამოვყოფდი გუნდის ხერხემალს — საშუალო ხაზს. ჩემი აზრით, შეცდომა დაშვებული იყო გუნდის ფიზიკურ მომზადებაში — ამაში ჩვენ ბევრ ნაკრებს ჩამოვრჩებოდით. საბჭოთა ფეხბურთელებმა ვერ გამოიჩინეს ნებისყოფა, რაც ასე ახასიათებს ჩვენს სპორტსმენებს. საერთოდ კი ნაკრები არაორგანიზებული იყო!

● თქვენი აზრით, რა არის საჭირო შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— მთავარია არ გამოგვივიდეს ისე, ერთ ზღაპარში რომ არის: ქურდს რომ ეძებდნენ სხვაგან, იგი კი აქვე, გოდორში იმალებოდა. ახლა უკვე დაიწყეს ე. წ. დასკვნების გამოტანა, ბევრს წერენ გაზეთებშიც. სხვადასხვა არგუმენტები მოჰყავთ, რეცეპტებსაც მრავალფეროვანს იძლევიან. მაგრამ რა საჭიროა „ქურდის" სხვაგან ძებნა, იგი ხომ აქ არის, დიახ, ლაპარაკია ჩვენი ფეხბურთის საგრძნობ ჩამორჩენაზე ტექნიკაში. გულზე ხელი დაიდოს მწვრთნელებმა და აღიარონ, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოტას მუშაობენ ფეხბურთელებთან ტექნიკის სრულყოფაზე. განსაკუთრებით მხედველობაში მყავს ახალგაზრდა მოთამაშეები — ისინი, ვინც ხვალ ჩვენი ფეხბურთი გაცილებით მაღალ დონეზე უნდა აიყვანონ. გუნდების უმრავლესობაში არ არის ჭეშმარიტად შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი, არ არსებობს კონკურენცია ამა თუ იმ ადგილზე, როგორც ეს ფედოტოვის, ბობროვის, პაიჭაძის, პონომარიოვის, სერგეი სოლოვიოვის დროს იყო. აი, რამდენი გვარი დავასახელე, ყველა ბრწყინვალე ფორვარდი იყო, ერთი მეორეზე საუკეთესო. დღეს კი რა ხდება: ჩვენს ნაკრებში... ორად-ორი „წმინდა" თავდამსხმელია ბლოხინი და შენგელია. დავუფიქრდეთ ამას! კრიტიკულად (კარგი საქმიანი გაგებით) გადავხედოთ ჩვენი ფეხბურთელების მომზადების სისტემას, ტყავის ბურთის ოსტატთა ამ დიდ და პასუხსაგებ სამზარეულოს. ვინ მუშაობს ფეხბურთის სპორტსკოლებში ან და ოსტატთა გუნდებთან მოსამზადებელ ჯგუფებში მწვრთნელებად, შევამოწმოთ ადგილებზე ყოველი კანდიდატურა, მეტი დაკვირვებით შევარჩიოთ ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელების მწვრთნელები, რათა ისინი ნამდვილად დიდი საფეხბურთო აღმზრდელები იყვნენ და არა ვარჯიშისას ბურთის მომწოდებლები. მიმაჩნია, რომ ძირფესვიანად უნდა გარდავქმნათ (როგორც ხარისხით, ისე მოცულობით) მუშაობა სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელებთან. აქ არ გვეშინია მათი გადაღლის და ამიტომაც დღეში მინიმუმ 3 საათი უნდა დავუთმოთ ტექნიკის სრულყოფას. ცნობილია, რომ ამ ასაკში ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს ისეთი ტექნიკა, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ უჭირდეს სათამაშო ელემენტების შესრულება.

ბოლოს მაინც კვლავ ნაკრებს დავუბრუნდეთ: აუცილებლად მიმაჩნია ამა თუ იმ თამაშისათვის ჩვენმა მთავარმა გუნდმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატაროს, რათა მომზადებული შეხვდეს ნებისმიერ ორთაბრძოლას. კიდევ ერთი: ნაკრების მწვრთნელი უნდა მუშაობდეს მხოლოდ მასთან და არ უთავსებდეს ვარჯიშს კლუბში, იგი ფეხბურთის სამმართველოს გამგებლობაში უნდა იყოს. რაც შეეხება თანაშემწეებს, ისინი მთავარი გუნდის მწვრთნელმა დროებით უნდა აიყვანოს კლუბებიდან.

ო. ნოზაძე,
„ლელოს" სპეც. კორ.
მოსკოვი.

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

გულშემატკივართა მუქარა

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ესპანეთის ქალაქ ოვიედოში დეპეშა მოვიდა ჩილიელი ფეხბურთელის კასელის სახელზე. ფანატიკოსი გულშემატკივრები კასელის სიკვდილით ემუქრებოდნენ იმის გამო, რომ მან ავსტრიელებთან მატჩში ვერ შეძლო პენალტის გატანა.

ჩილის ტელევიზიის რომელიღაც კომენტატორმა, ერთ-ერთი გადაცემისას, ჩაიცვა საფეხბურთო ფორმა, კარში დააყენა პროფესიული გუნდის მეკარე და სამჯერ გაიტანა მის კარში პენალტი. ამით მან კასელის დაუმტკიცა თუ როგორ უნდა დაარტყას ნამდვილმა ფეხბურთელმა 11-მეტრიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო ნახევარფინალებზე

მოგილიოვი

ქალთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში აქ გაიმართა კიდევ 3 ტური და მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

IV ტურში ლელჩუკმა დაამარცხა გოლუბევა, ტიტორენკომ — სოხატოვა, ალაბაბიანმა — ზაგორსკაია, დუბილევსკაიამ — ლევიტინა, ხოროვეცმა — პინჩუკი. ყაიმით დამთავრდა მესხი—კულიკოვასა და ახმარუმოვა — კინსიგის პარტიები, ხოლო ხასანოვა—მინოგინას შეხვედრა გადაიდო.

V ტურში მესხმა სძლია პინჩუკს, კულიკოვამ — ალაბაბიანს, ახმარუმოვამ — ზაგორსკაის, გოლუბევამ — სოხატოვას. ყაიმით დამთავრდა ლევიტინა — ხოროვეცის შეხვედრა, ხოლო მინოგინა —დუბილევსკაიას, ლელჩუკ—ხასანოვასა და კინსიგ—ტიტორენკოს პარტიები გადაიდო.

VI ტურში ლელჩუკმა გაიმარჯვა დუბილევსკაიასთან შეხვედრაში, ლევიტინამ — მინოგინასთან, კინსიგმა — გოლუბევასთან, ზაგორსკაიამ—ტიტორენკოსთან, ახმარუმოვამ — კულიკოვასთან, ხოლო ხოროვეცმა — მესხთან. ყაიმით დამთავრდა ალაბაბიან — პინჩუკისა და ხასანოვა—სოხატოვას პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კინსიგმა სძლია ალაბაბიანს, ხოლო წააგო ტიტორენკოსთან. დუბილევსკაიამ მოუგო მინოგინას. ყაიმით დამთავრდა ლევიტინა—გოლუბევას შეხვედრა.

ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს. ესენია თ. მესხი და ხოროვეცი, რომლებმაც 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს. მომდევნო ადგილებზე არიან ახმარუმოვა და კულიკოვა —4-4.

თ. ხარლამიდი.
(„ლელოს" სპეც. კორ.).

● ჭადრაკი

ივანო-ფრანკოვსკი

სსრ კავშირის კაცთა 50-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა კიდევ სამი ტური.

IV ტურში გ. იუდასინმა (ლენინგრადი) სძლია ა. მიხალჩიშინს (ლვოვი), ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) — ა. პეტროსიანს (ერევანი), ს. გორელოვმა (მოსკოვი) —ე. გუფელდს, ვ. დიდიშკომ (მინსკი) — ა. სმაგინს (მოსკოვი).

ყაიმით დამთავრდა ლ. ოლ (ესტონეთი) — ა. კაკაგელდიევის (აშხაბადი), ვ. სალოვ (ლენინგრადი) — ი. ელვესტის (ტალინი), ს. მაკარიჩევ (მოსკოვი) — ა. ჩერნინის (ხარკოვი) პარტიები. გადაიდო მ. ჩიბურდანიძე — ი. დორფმანის (ლვოვი) და ს. კორზუბოვ (უკრაინა) — კ. ლერნერის (ოდესა) პარტიები.

V ტურში ჩერნინმა მოუგო სმაგინს. ყაიმით დამთავრდა დორფმან—ლერნერის, მაკარიჩევ —კორზუბოვის, ვასიუკოვ — ელვესტის, სალოვ—გუფელდის, მიხალჩიშინ — ოლის, იუდასინ — გორელოვის პარტიები. გადაიდო ა. პეტროსიან — დიდიშკოსა და ჩიბურდანიძე — კაკაგელდიევის შეხვედრები.

VI ტურში დორფმანმა სძლია კაკაგელდიევს, მიხალჩიშინმა — ჩიბურდანიძეს, სალოვმა — იუდასინს, კორზუბოვმა — სმაგინს. ყაიმით დამთავრდა გორელოვ — ოლის, ვასიუკოვ — გუფელდის, დიდიშკო — ელვესტის შეხვედრები. გადაიდო ლერნერ — მაკარიჩევის პარტია. ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა ჩერნინი.

ექვსი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად დაწინაურდა სალოვი — 4,5 ქულა, 4-4 ქულა მოაგროვეს ვასიუკოვმა და ელვესტმა. გუფელდს 3 ქულა აქვს, ხოლო ჩიბურდანიძეს 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

(„ლელოს" სპეც. კორ.)

● თავისუფალი ჭიდაობა

გაემგზავრნენ...

11-14 აგვისტოს კანადის ქალაქ ედმონტონში გაიმართება მსოფლიო 21-ე ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელსაც სათავეში უდგას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ი. იარიგინი**, უკვე გაემგზავრა კანადაში. გუნდის შემადგენლობაში არიან ოლიმპიური ჩემპიონები — კიეველი ძმები **ანატოლი** და **სერგეი ბელოგლაზოვები**, დონეცკელი **ილია მატე**, მსოფლიო ჩემპიონები — მოსკოველები **სერგეი კორნილაევი** და **სალმან ხასიმიკოვი**, ქუთაისელი **მიხეილ ხარაჩურა**. მათთან ერთად გამოვლენ ჩემპიონატის დებიუტანტები — მახაჩყალელი **ოსმან ეფენდიევი**, მოსკოველი **იური ვორობიოვი**, კრასნოიარსკელი **ვლადიმერ ბატნია** და ჩერქეზსკელი **თეიმურაზ ძაგოევი**.

ლონგ-ბიჩის მიდამოებში

ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა მრავალგზის უარი თქვეს წინაოლიმპიურ შეჯიბრებათა ჩატარებაზე. მაგრამ აფროსანთა მოთხოვნა იმდენად ძლიერი იყო, რომ აშშ-ის ეროვნულმა ფედერაციამ გადაწყვიტა საკუთარი ძალებით გაემართა ასპარეზობა.

მართლაც, ამ დღეებში სოფელ ლონგ-ბიჩის მიდამოებში, ლოს-ანჯელესის ახლოს, დაიწყო ტურნირი ოლიმპიურ სახეობებში.

რთული ტრასა

გ. ახალაძის ფოტო.

თამაში მხოლოდ „ხუთიანზე"!

— **სპორტში** პროგნოზირება სახიფათო საქმეა მაგრამ მთელი ჩვენი გუნდის სახელით შემიძლია განვაცხადო: თითოეული მოთამაშე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში გამოავლენს ნებისყოფასა და ხასიათს, — თქვა საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანმა **სტანისლავ ერიომინმა** კოლუმბიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ.

— ჩემპიონატზე უნდა ველოდოთ არა მარტო საინტერესო მატჩებს, არამედ სიურპრიზებსაც,— განაცხადა 5 აგვისტოს გამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე გომელსკიმ**, — ახლა კალათბურთელთა ოსტატობის დონე ყველა ქვეყანაში მკვეთრად ამაღლდა და წარმატებას მიაღწევენ მხოლოდ ის გუნდები, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს მთლიანად გამოავლენენ. თუ გუნდი „ოთხიანზე" ითამაშებს, უკვე განწირულია დამარცხებისთვის. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომლის წევრები „ხუთიანზე" ითამაშებენ.

სსრ კავშირის ნაკრებში ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეები არიან. მათ შორის ყველაზე უმცროსია 17 წლის **არვიდას საბონისი**, რომლის სიმაღლე 213 სანტიმეტრია. გუნდში ყველაზე მაღალია **ვლადიმერ ტკაჩენკო** — 220 სმ. ყველაზე „პატარაა" გუნდის კაპიტანი **სტანისლავ ერიომინი** (180 სმ), რომელიც ამასთან ნაკრების ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა — ის 30 წლისაა.

მეტოქეების შეფასებისას გომელსკიმ გამოყო აშშ-ის, იუგოსლავიის, ბრაზილიის, კანადის, ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის გუნდები, რომლებსაც შეუძლიათ ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლონ. მწვრთნელის აზრით, აშშ-ის ნაკრები უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ამერიკის ის გუნდი, რომელიც ივნისში „კონტინენტთა მატჩებში" ორჯერ დამარცხდა ევროპის ნაკრებთან. სხვათა შორის, ევროპელებს საბჭოთა მწვრთნელი ხელმძღვანელობდა.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — იუგოსლაველებმა თავიანთი გუნდის ხელმძღვანელად მიიწვიეს გამოცდილი მწვრთნელი რანკო ჟერავიცა და ნაკრებში დააბრუნეს თავიანთი „ვარსკვლავები" კიჩანოვიჩის თავკაცობით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გუნდის შანსები.

ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში სსრ კავშირის ნაკრებმა ჩაატარა 15 მატჩი, მათ შორის ძლიერ გუნდებთან. ექვსი შეხვედრა გაიმართა მექსიკაში, მაღალმთიან პირობებში. ჩვენი ნაკრები კოლუმბიაში ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავა, რათა ტანმაღალი სპორტსმენები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ძნელად გადიან აკლიმატიზაციას, მზად იყვნენ ტურნირისთვის.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

* * *

ჩვენი რესპუბლიკის გულშემატკივართათვის ალბათ საინტერესოა, რომ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში კოლუმბიაში აგრეთვე გაემგზავრა თბილისის დინამოელი ნიკოლოზ დერიუგინი.

მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

●

შორეულ ეკვადორში

გუაიაკილის აუზებში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში, სინქრონულ ცურვაში, წყალბურთსა და წყალში ხტომაში.

საბჭოთა წყალბურთელებმა კიდევ ერთი ნახევარფინალური მატჩი მოიგეს, ამჯერად გფრ-ს ნაკრებთან — 11:8 (3:2, 3:2, 2:1, 3:3). მიუხედავად მარცხისა, გფრ-ს ნაკრები საბჭოთა წყალბურთელებთან ერთად ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში უნგრელმა წყალბურთელებმა დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები — 7:6 და მათაც მოიპოვეს ფინალის საგზური. ამ ჯგუფში ჰოლანდიის, იუგოსლავიისა და კუბის გუნდებმა 2-2 ქულა მოაგროვეს, მაგრამ მიღებული და გაშვებული ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მეორე ფინალური საგზური ჰოლანდიელებს ხვდათ.

ქალთა შორის კოშკიდან წყალში ხტომაში 12 უძლიერესს შორის მოხვდნენ პენზელი ა. ლობანკინა (მეორე შედეგით) და ერევნელი ს. ემირზიანი (მეხუთე). ამ სახეობაში ლიდერობა ხელთ იგდო ჩინელმა ჩ. სიაოსიამ.

სინქრონულ მოცურავეთა ჯგუფურ ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონი გახდა კანადელთა გუნდი (186,65). გამარჯვებულთა შორის (გუნდში 8 სპორტსმენია) იყვნენ საბჭოთა მაყურებელთათვის ნაცნობი ტყუპი დები პ. და ვ. ვილაგოსები, რომლებიც მოსკოვში, ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზის გათამაშებაში გამოდიოდნენ და II ადგილი დაიკავეს.

ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენები არ ასპარეზობდნენ.

მოცურავეები ამ დღეს ისვენებდნენ.

რეკორდი, კიდევ რეკორდი!

მოსკოვის ოლიმპიურ აუზში დამთავრდა წყალქვეშ მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის ბოლო დღეს მესამედ გამოიჩინეს თავი კიეველმა ს. უსპენსკაიამ და ნოვოსიბირსკელმა ა. ჟუკოვმა. მათ სპორტის ამ სახეობაში ყველაზე დიდი ხნის წინათ (1979 წ.) დამყარებული მსოფლიო რეკორდები გააუმჯობესეს. ს. უსპენსკაიამ მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა 400 მეტრზე ფარფლებით ცურვაში — 3.29,72, ხოლო ჟუკოვმა 100 მეტრზე აქვალანგით ასპარეზობაში — 35,98.

იმავე დღეს თავი გამოიჩინა მოსკოველმა დ. ოლეინიკოვამ, რომელმაც მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა 400 მეტრზე ფარფლებით ცურვაში — 3.11,74.

100 მეტრზე წყალქვეშ ცურვაში ჩემპიონი გახდა ალმაათელი ე. გოიკოლოვა — 42,54.

სასამართლოს დარბაზიდან

ქორვაჭარი... თამაშგარე მდგომარეობაში

კასპის რაიონში ერთ-ერთი ულამაზესია სოფელი ხოვლევი, სადაც მუყაითი და შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. მაგრამ ნათქვამია: სოფელი ვინ და ერთი კაციო... და სწორედ ერთმა კაცმა — ელიზბარ კოშაძემ შეარცხვინა მთელი სოფელი. ჯერ იყო და ელიზბარმა გული ვერ დაუდო სოფელში მუშაობას — თბილის ქალაქს მიაშურა და ახალგაზრდა კაცმა ქორვაჭრობას მიჰყო ხელი. შედეგმაც არ დააყოვნა: ელიზბარი სპეკულაციისათვის გაასამართლეს.

როდესაც სასჯელი მოიხადა, თანასოფლელები მას გულთბილად შეხვდნენ. ნასამართლევ კაცს არაფერი არ აგრძნობინეს. პირიქით, ხელიც გაუმართეს და გვერდში ამოუდგნენ, კოლმეურნეობაში მუშაობა შესთავაზეს, ეგებ წარსულის ლაქა მუყაითი შრომით გამოისყიდოსო, მაგრამ, ნათქვამია: ქვა მოხარშე — ქვა დადგების. ელიზბარი არც არას ამბობდა და არც ჰოს და კვლავ ქალაქისაკენ ეჭირა თვალი. ბოლოს, როცა მეზობლების გადაპატიჟება და პურმარილი მოყირჭდა, ისევ ქალაქისაკენ ქნა პირი და თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში მოეწყო მუშად. ამავე დროს თბილისის „დინამოს" სტადიონის სეზონურ კონტროლიორად გაფორმდა...

— აბა, ბიჭო ელიზბარ, დატრიალდი. საფეხბურთო სეზონი კარზეა მომდგარი, ფეხბურთის აბონემენტებზე დიდი მოთხოვნილებაა, ჰოდა თუ გამიმართლა, შავი დედალივით გავკუთდები,— ფიქრობდა იოლი ცხოვრების მოყვარული.

პირველად მართლაც გაუმართლა: ათას ხვრელში გაძვრა და სასპეკულაციოდ 1982 წლის საფეხბურთო სეზონის 12 აბონემენტი შეიძინა, თითო ცალი 25 მანეთად და 50 კაპიკად.

მალე პირველი მუშტარიც გამოჩნდა — „ფეხბურთის გულშემატკივარი" ვინმე ზაურ შეყილაძე, რომელმაც სპეკულანტს ერთ აბონემენტში 150 მანეთი ჩაუთვალა. ქორვაჭარს წმინდა მოგება 124 მანეთი და 50 კაპიკი დარჩა.

პირველ მუშტარს მეორეც მოჰყვა და ელიზბარ კოშაძემ კვლავ „მამასისხლად" გაყიდა ფეხბურთის 3 აბონემენტი. როდესაც ფული მიიღო და მოგებას ანგარიშობდა, თავზე მილიციის მუშაკები წაადგნენ და განყოფილებაში მიაბრძანეს. ე. კოშაძეს ჯიბეში 8 გაუსაღებელი ფეხბურთის აბონემენტი დარჩენოდა.

ასე აღმოჩნდა გამოუსწორებელი სპეკულანტი ელიზბარ კოშაძე „თამაშგარე" მდგომარეობაში და კვლავ სასამართლოს წინაშე წარსდგა.

— რას მერჩით, მადლობის მაგიერია? ვიფიქრე, ფეხბურთის აბონემენტებს მეგობრებ-ნაცნობებს დავურიგებ-მეთქი, თავს ვიზღვევდი — კონტროლიორი კაცი „ძმაკაცებს" უბილეთოდ ხომ არ გავატარებდი?

სასამართლომ არ დაუჯერა ქორვაჭარს.

თბილისის 1-ლი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ე. კოშაძეს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ზ. მესხენბისერი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

რედაქტორი ა. ბასილაია

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 09326